



საქართველოს ძიუდოს
ეროვნული ფედერაცია

2013-2014 წლების ანგარიში

გიყვარდას საქართველო

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია



ძიუდო — ყველაზე ნარმატივული
სპორტი საქართველოში



ძვირფასო ძიუდოს გულშემატიკივრებო, პირველ რიგში მოგესალმებით და გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

დაე ეს ახალი წელი ყოფილიყოს კიდეც უფრო მეტი წარმატების მომტანი, არამარტო ქართული ძიუდოსთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის.

ჩემთვის დიდი პატივია მოგმართოთ ფედერაციის სახელით, რომლის თვითეული წევრის მონდომებამ და თავგანწირვამ კიდეც უფრო მეტად გაუთქვა სახელი ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენი გუნდის ყველაზე დიდი მონაპოვარია ის, რომ

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არამარტო გავაგრძელებთ ქართული ძიუდოს ისტორიული გზა, არამედ მივალწიეთ დღემდე უპრეცედენტო შედეგებს, როგორც ძიუდოსტთა წამატების, ასევე ფედერაციის ერთიანი და ძლიერი ორგანიზმის ჩამოყალიბების კუთხით. ყოველივე ზემოაღნიშნული შეუძლებელი იქნებოდა თვითეული სპორტსმენისა თუ თანამშრომლის მართლაც წარმოუდგენელი ძალისხმევის გარეშე.

სწორედ ამიტომ მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ პირველ რიგში თქვენ, ძიუდოს ოჯახის წევრებო, ამ თანამშრომლობისა და მონდომებისათვის, ხოლო თვითეული თქვენთაგანის სახელით ყველა იმ პიროვნებასა თუ ორგანიზაციას ვინც მხარში გვიდგას და გვეხმარება უმაღლეს მწვერვალებისკენ სწრაფვაში.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის
პრეზიდენტი
დავით ქვეციშვილი

ახალი დარბაზი რეპონეზში

ქვეყნის მასშტაბით გაიხსნა 15 ახალი დარბაზი, სადაც მოვარჯიშეთა რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენს 450-დან 500-ამდე ბავშვს.

(სოფლები: მთისძირი, შილდა, ფლავისმანი, წერეთელი, თამარისი, კვახჩირი, დმანისი, ქვეშეთი, აგარა, ალი, ლამისყანა და ქალოვანი. ქალაქები: ზუგდიდი, ბათუმი და დაბა ლენტეხი).

საქართველოს კიუდოს ეროვნული ფედერაციის ურთიერთობა ევროპის კიუდოს კავშირთან და კიუდოს საერთაშორისო ფედერაციასთან

გალრმავდა ურთიერთობა საერთაშორისო ძიუდოს ფედერაციასთან, რაც პირველ რიგში გამოიხატა იმით, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირს დაუბრუნდა ძველი სტატუსი და 3 წლიანი ხელშეკრულების საფუძველზე ქალაქი თბილისი მასპინძლობს თბილისის GRAND-PRIX საერთაშორისო ტურნირს. საერთაშორისო ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მოხდა აგრეთვე უპრეცედენტო დამხარება - 660 წყვილი კომანო და 11 კომპლექტი ტატამი გადაეცა ძიუდოს ფედერაციას, რაც განაწილდა რეგიონებში ახალგაზრდა და ჭაბუკ ძიუდოსტებზე, ასევე ერთი წლის მანძილზე რეგიონში მოღვაწე 50-ზე მეტ მწვრთნელს დაენიშნა ყოველთვიური სტიპენდია.

ამასთან ერთად უკვე დაწყებულია მუშაობა ძიუდოს საერთაშორისო აკადემიასთან სამწვრთნელო-სასწავლო პროგრამის საქართველოში დანერგვაზე, რაც იქნება უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი არამხოლოდ ქართული ძიუდოსათვის, არამედ ზოგადად ქართული სპორტისთვის. ამჟამად მიმდინარეობს სასწავლო პროგრამის ქართულ ენაზე თარგმნა.



ევროპის ძიუდოს კავშირთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაიწყო ძიუდოს გაკვეთილების სწავლება სკოლებში, საპილოტე პროგრამა განხორციელდა ყვარლის 4 საჯარო სკოლაში. საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ძიუდოს განვითარების ფონდის დახმარებით დაბეჭდა ძიუდოს პირველი სახელმძღვანელო ბავშვებისთვის. ევროპის ძიუდოს კავშირთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად ევროპის ძიუდოს **სამედიცინო და ანტიდოპინგურ კომისიაში** საქართველოს 2015 წლიდან ეყოლება თავისი წარმომადგენელი.

საკლუბო სისტემის დანერგვა, დახვეწა, განვითარება და კანონის ფარგლებში მოქცევა.

მიმდინარეობს საკლუბო სისტემაზე გადასვლა, რაც ყველაზე უფრო აპრობირებული მეთოდია ძიუდოს განვითარებისთვის ევროპისა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უკვე ჩატარდა 2013-2014 წლებში საკლუბო ჩემპიონატები, კლუბების რაოდენობა დღეის მდგომარეობით არის 25, მომავალი წლისთვის აღნიშნული ციფრი გაიზრდება 50%-ით. ამ სისტემის ძირითადი მიზანია, რომ უახლოეს მომავალში მოხდეს ადგილობრივი მწვრთნელების ჩართულობა ფედერაციის ყოველდღიურ საქმიანობაში – მათ სიტყვას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა და ამით აღმოიფხვრება ის მანკიერი პრაქტიკა, რომლის დროსაც ძიუდოს ბედს წყვეტდა ხალხის ის კატეგორია, რომელნიც საერთოდ არ იყვნენ ჩართულნი ძიუდოს ფედერაციის ყოველდღიურ ფუნქციონირებაში.

2013-2014 წლებში აღსანიშნავია აღმასკომის მიერ მიღებული ღებულებები, რაც მიზნად ისახავს კიუდოში მოღვაწე ყველა წარმომადგენლის ინტეგრაციას და უფლებების დაცვას:

1) ღებულება სპორტსმენთა და მწვრთნელთა ურთიერთობის შესახებ – აღმოიფხვრა მანკიერი მიდგომები პირად მწვრთნელთან მიმართებაში, კერძოდ აეკრძალათ ნაკრები გუნდის მწვრთნელებს პირადი



მოსწავლეების ყოლა, რითაც დაცულ იქნა პირადი მწვრთნელის უფლებები და ინტერესები.

2) ღებულება ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრთა წონის კლებასთან დაკავშირებით – აღნიშნული ღებულებით დაცული იქნება ერთის მხრივ ახალგაზრდა სპორტსმენთა ჯანმრთელობა, ხოლო მეორეს მხრივ უფრო მეტად იქნება გარანტირებული მათ მიერ უფროს ასაკში წარმატების მიღწევა.

3) ღებულება სხვადასხვა სპორტის სახეობაში გამოსვლასთან დაკავშირებით – საქართველოს ძიუდოს ფედერაცია აფასებს და ხელს უწყობს სხვადასხვა სპორტის სახეობის განვითარებას, თუმცა ამ ღებულებით ხაზი ესმება პირველ რიგში ზოგადად ძიუდოს და თითოეული ძიუდოისტის ინტერესების დაცვას.

შეიქმნა კიუდოს განვითარების ფონდი

ორი წლის მანძილზე ძიუდოს განვითარების ფონდმა განახორციელა **50 000 ლარზე** მეტი ფინანსური დახმარება ძიუდოს სხვადასხვა მიმართულებებში, კერძოდ ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება, სპორტსმენთა და მწვრთნელთა შეკრებებსა და შეჯიბრებებზე მივლინება, ძიუდოს სახელმძღვანელოს დაბეჭდვა, პირველი საკლუბო ჩემპიონატის სრული დაფინანსება და სხვა.

კიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის გაზა

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მხრიდან 2 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობის შედეგად, რაც გამოიხატა შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით მივიღეთ გარანტია, რომ 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის შემდგომ დილოში მდებარე ძიუდოს აკადემია გახდება ძიუდოს ფედერაციის საკუთრება, რაც არის უპრეცედენტო და ყველაზე უფრო წინგადადგმული ნა-



ბიჯი ქართული ძიუდოს განვითარებისათვის.

შიდა ჩემპიონატებისა და სხვადასხვა ტურნირების ორგანიზების დონის ამაღლება

მოხდა მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე, გაიზარდა მსაჯთა რაოდენობა, ჩატარდა სემინარები მათი პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის. ამაღლდა ობიექტურობის კრიტერიუმები ეროვნულ ჩემპიონატებზე.

საქართველოს ძიუდოსთან სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდის წევრთა სპორტული აქტივირება:

ყოველწლიურად ხდება ყველა ასაკობრივი ნაკრები გუნდების არამარტო კიმანობით უზრუნველყოფა, არამედ სპორტული ფორმებით ეკიპირება.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გამართულ 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონიაზე 10 ნომინაციიდან 5-ში გამარჯვებულები ძიუდოს წარმომადგენლები გახდნენ: წლის საუკეთესო გუნდი, წლის საუკეთესო სპორტსმენი, წლის საუკეთესო მსაჯი, წლის საუკეთესო მწვრთნელი, წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი.

ევროპის ძიუდოს კავშირმა 2013 წელს საქართველოს ძიუდოს ნაკრები დაასახელა წლის გუნდად, ნაკრები გუნდის მწვრთნელი დასახელდა წლის მწვრთნელად, წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ნომინაციაშიც გაიმარჯვა ქართველმა ძიუდოსტმა.

2013-2014 წლების სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების შედეგები

დიდების ნაკრები

2013-2014 წლის ევროპის ჩემპიონატები:
5 ოქრო, 5 ვერცხლი, 1 ბრინჯაო.
2013-2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატები:



1 ოქრო, 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.
2013 წლის ევროპის გუნდური ჩემპიონატი — ოქრო
2014 წლის ევროპის გუნდური ჩემპიონატი — ოქრო
2013 წლის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი — ოქრო
2014 წლის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი — ბრინჯაო

ახალგაზრდული ნაკრები

2013-2014 წლის ევროპის ჩემპიონატები:
3 ოქრო, 5 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.
2013-2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატები:
1 ოქრო, 1 ვერცხლი, 6 ბრინჯაო.
2013 წლის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი — ოქრო
2014 წლის ევროპის გუნდური ჩემპიონატი — ოქრო
2014 წლის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი — ვერცხლი

ჭაბუკთა ნაკრები

2013-2014 წლის ევროპის ჩემპიონატები:
2 ვერცხლი, 7 ბრინჯაო.
2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი:
1 ოქრო, 2 ვერცხლი.

ქალთა ნაკრები

2013 წლის ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი:
1 ოქრო, 1 ბრინჯაო.
2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი: 1 ვერცხლი



2013-2014 წლებში საქართველოს ძიუდოს ყველა ასაკობრივმა ნაკრებმა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოიპოვეს — 214 მედალი, აქედან ოქრო — 63, ვერცხლი — 62, ბრინჯაო — 89.



საქართველოს ძიუდოს
ეროვნული ფედერაცია
Georgian Judo Federation

